

# რეგიონში დასუფთავების მასშტაბური აქცია მოეწყო



გურიის რეგიონში, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მდინარეების ნაპირებზე და მუნიციპალიტეტების სოფლებში დასუფთავების მასშტაბური აქცია მოეწყო. აღნიშნულ აქციაში ჩაერთნენ სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლები, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები, საკრებულოების თავმჯდომარეები, საჯარო მოხელეები და საჯარო სკოლის მოსწავლეები. მათ რეგიონში სხვადასხვა ლოკაციებზე, მდინარის სანაპიროები, მიმდებარე ტერიტორიები დასუფთავეს და მყარი ნარჩენებისაგან გაწმინდეს.

დასუფთავების აქცია "ლურჯი ნაკალული"-ს ფარგლებში, საქართველოს მწვენიელა მოძრაობა - დედამიწის შევორების ინიციატივით, გურიის გუბერნიის და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანიზებით ჩატარდა. 22 მარტს, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით აღინიშნება.

# „NOVA“-ს პარტნიორი პირველი სამშენებლო მაღაზია ოჯახებში

- სამშენებლო მასალების ფართო სპექტი;
- ხელსაყიერი ფასები;
- მომსახურების მაღალი ხარისხი;
- შექნილი მასალების მითითებულ მისამართზე უფასოდ მიტანა.

**კომპანია „NOVA“-საიველო პარტნიორი, რომელიც, მაღაზია „ლიზი 2-ის“ საშუალებით, ყველა ოჯახში შეგნებით, მშენებლობა და შეგნებით მოვა!**



# ა ლ ი ო ნ ი

უმჯობესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ბაზემი ბაგოღის  
1931 წლის 5 იანვარი

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გაზეთი.  
ყოველკვირეული ბაგოღი. № 12 (10257) 26 მარტი, 2018 წ. შასი 60 თემტი.

## ურბში ხანძარს მსხვერპლი მოჰყვა



ურბში შემთხვევა 19 მარტს, გვიან ღამით (03 საათი), ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურბში (მაგნეტიტი) მოხდა. 88 წლის მამაკაცი ვაკანდაძე, რომელიც 30 წელზე მეტია აღნიშნულ დასახლებაში ცხოვრობდა, ბინაში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაიღუპა. - ვაკანდაძე, ე.წ. რუსთავის „აზოტის“ ყოფილ დასასვენებელი სახლის ერთ-ერთ კოტეჯში ცხოვრობდა (აღნიშნული ტერიტორია ცნობილი ბიზნესმენ ვანო ჩხარტიანიშვილის ეკუთვნის). ჯერ არ ვიცით თუ რა ვახდა ხანძრის მიზეზი, მაგრამ ვიცით, რომ მამაკაცი სახლთან ერთად დაიწვა და მისი გვამი ამჟამად ექსპერტიზაზე ბათუმშია გაგზავნი-

ლი, - გვითხრა ვაკანდაძე-ილის ახლობელმა. გაზეთი „ალიონი“ დაბის მაჟორიტარ დეპუტატს გონა მდინარაძეს დაუკავშირდა: -არ ვიცი, სოფელში ვიყავი, ინფორმაცია არ მაქვს - გვიპასუხა მან. მომდევნო ზარზე კი დაგვიდასტურა ხანძრის შესახებ, მაგრამ თუ რა მოხდა, ინფორმაციას არ ფლობდა. ვაკანდაძე, ათეული წლების მანძილზე ჩაისა და სუბტროპიკული მეურნეობის სამეცნიერო გაერთიანების ავტორპარკში მუშაობდა. გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანავგრძნობს ტრაგიკულად დაღუპული ვაკა ვაკანდაძის ოჯახს.

## არჩილ თალაკვაძე: „ეს არის, მემი ეკონომიკა ოჯახებში და არა მხოლოდ ოჯახებში, ეს მემი დასაქმებული ადამიანია“

**ალიონი.** 20 მარტს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში უმრავლესობის ლიდერი, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ თალაკვაძე, საზოგადოებრიობის თანდასწრებით, იმ მცირე მეწარმეებს შეხვდა, რომელთა პროექტები „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში კონკურსის შედეგად დაფინანსდა. „მე დღეს ამ შეხვედრაზე მოვიწვიე 10 მცირე მეწარმე, რომელთა პროექტები დაფინანსდა მცირე მეწარმეთა პროგრამის გრანტით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პროგრამებმა გაიარეს ძალიან კონკურენტული რეჟიმი, გაიარეს კონკურსი და კომისიამ, დამოუკიდებელმა კომისიამ, ამ პროგრამის კომიტეტმა ჩათვალა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ეს პროექტები უნდა დაფინანსებულიყო. პირველ რიგში, მე უნდა მიველოცო ათივე გამარჯვებულ მეწარმეს ეს წარმატება. ეს არის, რა თქმა უნდა, მეტი ეკონომიკა ოჯახებში და არა მხოლოდ ამ ოჯახებში, ეს მეტი დასაქმებული ადამიანია და ვინაიდან ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მდგრადობა არის მაღალი, მდგრადი და



ვითარდება, ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი გრანტები ნამდვილად არ არის დაკარგული ფული, ეს გრანტები მუშაობს უკვე, როგორც მცირე ბიზნესი და ბევრი მათგანი ასევე განვითარებაზე აკეთებს განაცხადს მომდევნო პროგრამულ ციკლში. ეკონომიკის მინისტრი და სამინისტროს ხელმძღვანელობა ძალიან აქტიურია, ძალიან მონაწილეობს, რომ „აწარმოე საქართველო“ გაგრძელდეს, იყოს

აქტიური ბიზნესის კიდევ უფრო წამხალისებელი. ასევე იცით, რომ მცირე ბიზნესისათვის მზადდება უნიკალური საგადასახადო შემოსავლები, რომელსაც პარლამენტი უახლოეს პერიოდში მიიღებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ უკვე ამ ძალიან საინტერესო ცვლილებებს. პირველ რიგში, წლიური შემოსავლის ხუთპროცენტის გადსახადი მცირე ბიზნესისთვის მცირდება სიმბოლურ ერთ პროცენტამდე, ასევე იზრდება მცირე ბიზნესის სტა-

ტუს-ლიმიტი, ანუ თუ აქამდე მცირე ბიზნესმენად ითვლებოდა სუბიექტი, რომელსაც ათიათასამდე ბრუნვა ჰქონდა წელიწადში, ეს ლიმიტი იზრდება ნახევარ მილიონ ლარამდე. ასევე მცირე მეწარმეებისთვის უქმდება ე. წ. საავანსო გადასახადი. გარდა ამისა, კიდევ არის დაახლოებით ათამდე სიახლე, გამარტივებები შემოღის ანგარიშსწორებასთან, ბუღალტ-



### გაზეთი „ალიონი“ სარედაქციო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთუთი გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამკვლევარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,80 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარედაქციო კომპანია**  
**რედაქციონი**  
**ნუგზარ ასათიანი**  
 nugzarasatiani@rambler.ru  
**558 499100**  
 საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:  
**თემურ მარშანიშვილი**  
 tem52@mail.ru  
**599 373515**  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
 gia\_77@mail.ru  
**551 576060**  
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3  
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია ჩვენთან ერთად  
**«ალიონი»**

## არჩილ თალაკვაძე: „ეს არის, მეტი ეკონომიკა ოჯახებში და არა მხოლოდ ოჯახებში, ეს მეტი დასაქმებული ადამიანია“

ერიასთან დაკავშირებით, თუმცა, ამაზე შემდეგ კვირაში ფინანსთა მინისტრი და ვიცე-პრემიერი გვესტუმრებიან და თვითონ გვიამბობენ ვრცლად. პირადად მე ვფიქრობ, რომ ეს ცვლილებები არის ახალი შესაძლებლობა იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც საკუთარი ბიზნესი უნდა განავითარონ. როგორც იცით, სახელმწიფო ადმინისტრაციამ შარშან თითქმის 100 მილიონით შეამცირა ადმინისტრაციული ხარჯები, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო აპარატის მიმდინარე დანახარჯი მცირდება, რა თქმა უნდა, ამ ფონზე ძალიან ლოგიკურია და სწორია, რომ სახელმწიფო უკვე უსსნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესს, იმიტომ, რომ ეკონომიკის საფუძველი, ინკლუზიური ეკონომიკის საფუძველი, რა თქმა უნდა, უნდა გახდეს მცირე და საშუალო ბიზნესი“. - თქვა შეხვედრაზე **არჩილ თალაკვაძე**. დეპუტატმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ის ადამიანები, რომელთა პროექტები დაფინანსდა მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში:

- ნათია პაკაშვილი** - ჩაის გადამამუშავების პროექტისთვის მიიღო სახელმწიფოსგან 10-ათასლარიანი გრანტი;
- ლამა ფლენტი** - ჩაის გადამამუშავების პროექტისთვის მიიღო 15-ათასლარიანი გრანტი;
- ნინო მუნაშავრია** - ასევე ჩაის ახალი პროდუქციის წარმოებისთვის მიიღო გრანტი;
- უჩა რამიშვილი** - სტომატოლოგიური სერვისის შექმნისთვის მიიღო 10-ათასლარიანი გრანტი;
- თინათინ გოგიბერიძე** - საკონდიტრო წარმოებისთვის მიიღო 5-ათასლარიანი გრანტი;
- იუზა ჭანტურიძე** - პურის საცხობისთვის მიიღო გრანტი;
- ლავერენტი ტულუში** - საათების შექმნისთვის მიიღო გრანტი;
- ამირან ხარშილაძე** - მსხვილგაბარიტის მანქანების სამრეცხაოსთვის მიიღო გრანტი;
- ზვიად გობრონიძე** - ხელნაკეთობათა



სადურგლო საამქროს ასაწყობად მიიღო გრანტი; **იუზა ფლენტი** - ჩირის დამზადების საამქროსთვის მიიღო 10-ათასლარიანი გრანტი. შეხვედრის ბოლოს მცირე მეწარმეებმა დეტალურად ისაუბრეს განხორციელებულ პროექტებზე, დამსწრეთა დაკავშირების მათ მიერ წარმოებულ პროდუქტსა.

### სასამართლო ოჯახებში პოლიციის ნარკოტიკის მოხმარებისთვის დააჯარიმა



გურიის პოლიციის მთავარი სამმართველოს სამორიგეო განყოფილების მორიგე ინსპექტორი ზ.გ. სასამართლომ ნარკოტიკების მოხმარებისთვის დააჯარიმა.

შსს-ს ცნობით, პოლიციის თანამშრომელი შსს-ს გენერალური ინსპექციის მიერ ნარკოტიკული თრობის შემოწმების მიზნით გადაყვანილ იქნა ნარკოლოგიურ დაწესებულებაში, რა დროსაც მას ნარკოტიკის მოხმარება დაუდგინდა. ის სასამართლომ ადმინისტრაციული წესით დააჯარიმა. უწყების ცნობით, პოლიციის თანამშრომელი სამსახურიდან დახორციელდა იქნება მოსამართლის დადგენილების საფუძველზე.

### რომა აბესაძე მისამა

14-18 მარტს მარნეულში ჩატარდა საქართველოს პირველობა კრივში ჭაბუკთა შორის აღნიშნულ ღონისძიებაში ოზურგეთის ნაკრები გუნდის წევრმა რომა აბესაძემ 52 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა. მწვრთნელი იულო საჯავია.



### სამართლებლოსათვის სასიკეთო იდეაზე დაფუძნებული და იმედის მომცემი ღონისძიება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ა(ა)იპ „ზაიტერ გურიას“ ეგიდით ძალზე საინტერესო და ქართული საზოგადოებისათვის იმედის მომცემი ღონისძიების პრეზენტაცია გაიმართა. საუბარია აშშ-ში დავით კარტოზიას მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის „იდეების განვითარების ფონდის“ - ZIDF მეტად კეთილშობილურ განზრახვაზე გამოაცხადოს პარტნიორობით ერთად მთელი საქართველოს მასშტაბით განახორციელოს რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის მოცულობის პროგრამა სახელწოდებით „ამერიკული ფული ქართველ ხალხს“. პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკურ გაძლიერებას, პროგრამის ამოცანაა ხელი შეუწყოს საქართველოში განათლების, კულტურის, სპორტის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ინფრასტრუქტურის, ინოვაციური ტექნოლოგიების და სხვ. განვითარებას. გურიის რეგიონში აღნიშნული პროექტის განხორციელებას ხელმძღვანელობს უწყვეს ა(ა)იპ „ზაიტერ გურია“, რომლის ოფისი მდებარეობს ქ. ლანჩხუთში. შერჩეულია წარმომადგენლები ოზურგეთისა და ჩოხა-

ტაურის მუნიციპალიტეტებში. საგრანტო კონკურსთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებზე დარბაზში მყოფ მოქალაქეებს ესაუბრა „ზაიტერ გურიას“ თავმჯდომარე, ბატონი გიორგი გოგუაძე, შეკითხვების ნაწილს უპასუხა აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენელმა ზაზა ქავშიანიძემ. საგრანტო განაცხადები მიიღება 2018 წლის 15 აპრილამდე. აპლიკანტმა შეიძლება მოიპოვოს 20 000 აშშ დოლარის მოცულობის გრანტი. სავალდებულო არ არის თანამონაწილეობა. გრანტი არადაბრუნებადია. დაფინანსების შემთხვევაში საგრანტო განაცხადის ავტორი დაექვემდებარება ორწლიან მკაცრ მონიტორინგს. გურიაში დასაფინანსებელი პროექტებით გაცემული გრანტების ჯამური მოცულობა დაახლოებით 2,0 მილიონი დოლარი იქნება. საგრანტო კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით მიმართეთ შეგიძლიათ პირადად „ზაიტერ გურიას“ ოფისსა და ხელმძღვანელობას. **რომან ბაკურაძე**, პროექტის მონაწილე და მხარდამჭერი.

### ფრე „ხისანთან“, „მერცხალი“ ლიდერობს

გასულ ხუთშაბათს, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის (რეგიონალიზაცია, „ბ“ ჯგუფი), მე-3 ტურის მატჩში ოზურგეთის „მერცხალი“ ხულოს „ხისანს“ უმასპინძლა. დაძაბული შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას დაწესებული ჰქონდა პრიზი ორთავე გუნდის საუკეთესო ფეხბურთელებისათვის, რომელიც გადაეცათ გიორგი ზოიძეს („ხისანი“) და მერაბ ლლონტს („მერცხალი“). „მერცხალი“ ამ დღეს შემდეგი შემადგენლობით იასპარეზა: ლევან ზვიადაძე, ნუგზარ ინჟირველი, ელგუჯა ჩხაიძე, გიორგი მაღალაშვილი, სერგო ჩიგოგიძე, ირაკლი გოგუაძე (ვახტანგ დოლიძე), ირაკლი ლლონტი (მერაბ

ანდლუაძე), შოთა გუჯაბიძე, ზაურ კალანდიაძე, ნოდარ მაჭავარიანი, სერგო ჩიგოგიძე. ამ დღეს კიდევ ორი მატჩი გაიმართა: „ოდიში 1919“ - „დინამო-2“ (ბათუმი) 2:1; „ეგრისი“ - „სქური“ 2:1. „მერცხალს“ 3 ტურის შემდეგ (1 მოგება, 2 ფრე) 5 ქულა აქვს და გათამაშებას ლიდერობს. მომდევნო შეხვედრას „მერცხალი“ 27 მარტს გამართავს ბათუმში „მეტასთან.“ \* \* \*



ილეობა მიიღეს: ეროვნული ლიგა -2-ის 4-მა, ლიგა 3-ის 20-მა და რეგიონალიზაციის 39 გუნდმა. გურიის რეგიონის საფეხბურთო გუნდები ასე დაწვედნენ:

„საირმე“ (ბაღდადი) - „მერცხალი“ (ოზურგეთი); „გურია“ (ლანჩხუთი) - „შეკარდენი 1906“ (თბილისი); „პასპარო“ (ჩოხატაური) - „საბურთალო 2“ (თბილისი).



# კონსტანტინე შარაშენიძე: „გარე პაჭრობისთვის აუცილებელია რეპუტაცია“



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე, მრჩეველ ალექსანდრე ბერიძესთან ერთად, ქალაქის ცენტრში გარე

მოვაჭრებს შეხვდა. მოვაჭრეები მათთვის ადგილების გამოყოფასა და მსუბუქი კონსტრუქციების დამონტაჟებას ითხოვენ. როგორც მერმა განმარტა, გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი ადგილები არ უნდა აფერხებდეს, როგორც ქვეითთა, ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებას. ამასთან, დაცული უნდა იყოს სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები და უსაფრთხოების წესები. „გარე ვაჭრობისთვის აუცილებელია რეგულაციები, არავის მოსწონს ცუდ ამინდში ქოლგით და ცელოფნის პარკებით გარეთ ჯდომა. ეს არც ქალაქს უხდება. ქალაქის იერსახის გაუმჯობესების გარდა, ეს მოსახლეობისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვასაც შეუწყობს ხელს. ჩვენ ვითანამშრომლებთ გარე მოვაჭრეებთან. ვმუშაობთ იმ ტერიტორიების განსაზღვრაზე, სადაც ნებადართული იქნება გარე ვაჭრობა,“ - განაცხადა კონსტანტინე შარაშენიძემ.

# საკრებულომ დასუფთავების აქცია გამართა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წყლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების პროექტს „დავასუფთოთ საქართველო“ შეუერთდა და დასუფთავების აქცია გამართა. საკრებულოს ფაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს ინიციატივით დასუფთავების აქცია სოფელ ლიხაურში გაიმართა. მასში მონაწილეობა კიდევ საკრებულოს სამი ფრაქციის: „ქართული ოცნება-მწვანეების“, „ქართული ოცნება - კონსერვატორების“, „ქართული ოცნება - მრეწველების“ წევრებმა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებმა მიიღეს. ინიციატივას ლიხაურის საჯარო სკოლის მოსწავლეებიც შეუერთდნენ. ნარჩენებისგან დასუფთავდა სოფელ ლიხაურის ცენტრამდე მისასვლელი მთავარი გზა, სოფლის ცენტრი და მდინარე აჭის ხეობა. წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო



რისო დღეს მსოფლიო 1993 წლიდან ყოველ 22 მარტს აღნიშნავს. ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს მუნიციპალიტეტებში დასუფთავების აქციები იმართება.

# მერიის აქცია წყლის სამართაშორისო დღესთან დაკავშირებით



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებმა ქალაქის ტერიტორიის

აზე არსებული პარკები მყარი ნარჩენებისაგან გაწმინდეს. დასუფთავების აქციაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილეები ირაკლი სირაძე და ოსიკო თოთბაძე ჩაერთნენ. აქცია წყლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ პროექტის ფარგლებში „დავასუფთოთ საქართველო“ ჩატარდა.

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ დამატებით 200-მდე სანაგვე ურნა შეიძინა



მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე განმარტავს, რომ ახალი ნაგვის ურნები ქალაქის ტერიტორიაზე განთავსდება და ისინი ამორტიზებულ ბუნკერებს ჩაანაცვლებენ. ახალი ნაგავმეკრები კონტეინერები კონსტრუქციულად დასუფთავების მანქანების შესაბამისია. ქალაქს სულ 4 ნაგავმედი ემსახურება. დასუფთავების მანქანებს მყარი ნარჩენები ქალაქის ტერიტორიიდან დღის განმავლობაში 2-ჯერ გააქვთ.

## მაჟორიტარები

### პაატა კილურაძე – სოფელი ბაილეთი



პაატა კილურაძე სოფელ ბაილეთის სამგზის მაჟორიტარი დეპუტატია. 2017 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება 431 (82.57%) ხმით მოიპოვა. „ბაილეთლების ინტერესების გათვალისწინება არის ჩემი როგორც მაჟორიტარის საქმიანობის მთავარი პრინციპი. არ არის ადვილი სამგზის მაჟორიტარობის მანდატი ატარო, თუმცა ჩემი სოფლის სიყვარული, თანასოფლელების გვერდით დგომა და მიზანი, რომ ბაილეთის მაცხოვრებლებმა იგრძნონ კეთილდღეობა მშატებს ძალას, მაქსიმალურად გავამართლო გამოცხადებული ნდობა. სოფელში ცენტრალური გზა მოწესრიგებულია. გასულ წლებში რთულ მონაკვეთებზე დაახლოებით 800 მეტრამდე დაიგო რკინა ბეტონის საფარი. რეაბილიტირდა საბავშვო ბაღი. მოეწყო გარე განათებები, დარჩენილია ე.წ. „ხაქარაძეებისა“ და „ცერცვაძეების“ უბანი,

რომელიც აუცილებლად უნდა დასრულდეს. ბაილეთში ძირითად პრობლემას ინფრასტრუქტურის მიმართულებით შიდა გზები წარმოადგენს. ბეტონის გზის მოწყობა იგეგმება 300 მ-ამდე ე.წ. „ჭანეთურის“ უბანში. ასფალტირებული გზის მშენებლობა დაიწყება დაახლოებით 3 კმ ექვსამდე მონაკვეთზე, რომელშიც შევა ცენტრალური გზიდან ახალსოფლის მიმართულებით გზაც. აღნიშნულზე მიმდინარეობს პროექტირების სამუშაოები. ძირითად გადასატარებელ პრობლემად რჩება სოფლის გაზიფიცირება და წყლის სისტემის მშენებლობა. გაზი თვითმმართველობის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება, თუმცა ჩვენ აქტიური კომუნიკაციის საშუალებით შესაბამის სტრუქტურებთან ვცდილობთ რაც შეიძლება მოკლე დროში განხორციელდეს გაზიფიცირების პროექტი. რაც შეეხება წყალმომარაგებას მუნიციპალიტეტმა ეტაპობრივად დაიწყო სამუშაოების ჩატარება სხვადასხვა სოფელში. აღნიშნული საკმარის დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. საუბარი თითოეულ ამ პრობლემაზე ჩემი როგორც მაჟორიტარის და რიგითი ბაილეთელის ვალდებულებაა. ყოველდღიურ რეჟიმში ვცდილობთ დაგვასხოთ გზები და შევამციროთ პრობლემათა რიცხვი. ჩემი ბაილეთელი თქვენ ნდობის გამართლება, დაკისრებული მოვალეობების შესრულება და თქვენი ინტერესების დაცვაა ჩემი მთავარი უფლებამოსილება. თითოეულ პროექტზე მსჯელობა, დაგეგმვა და შემდგომ მისი განხორციელება ჩვენი თანამოქალაქეების ინტერესებს ემსახურება. მიგულებთ თითოეული თქვენგანის გვერდით!“

### ალექსანდრე ღლონტი – სოფელი მერი



მერიის თემმა ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში არჩევანი ალექსანდრე ღლონტიზე გააკეთა. მან მაჟორიტარის მანდატი პირველად 611 (43.03%) ხმით მიიღო. „მოგესწენებათ მერიის ადმინისტრაციული ერთეული სამ სოფელს მერიას, ნაღობილევსა და ხვარბეთს აერთიანებს. საკმაოდ დიდია მერიის თემი ტერიტორიულადაც და დასახლების მიხედვით, შესაბამისად გასაკეთებელი საქმეებიც მრავალადა. ჩემთვის, როგორც ამ სოფლის მკვიდრისთვის არცერთი პრობლემა უცხო და ახალი არ არის. ვიცი რა სჭირდება ჩემს თანასოფლელებს, რომელი პრობლემების მოგვარებაა უფრო პრიორიტეტული. მაჟორიტარობა ის დიდ პასუხისმგებლობაა, რომელსაც არა მარტო ის 611 ადამიანი მაკისრებს, რომელსაც ხმა მომცა ადგილობრივ არჩევნებში, არამედ თითოეული თანასოფელლის პრობლემის განხილვანება, ინტერესების დაცვა და მათზე ზრუნვა. გასულ წელს გადავიტარე ცენტრალური გზის

პრობლემა, ჩატარდა სრული რეაბილიტაცია, შიდა გზების რთულ მონაკვეთებზე დაიგო რკინა-ბეტონის საფარი. თუმცა შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება დღესაც აქტიურად დგას დღის წესრიგში. მოგესწენებათ სკოლამდელი განათლება ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, საკრებულომ პრიორიტეტების დოკუმენტი სწორედ ასეთი სახით დაამტკიცა. ჩვენს სოფელში კი საბავშვო ბაღების პრობლემა აუცილებლად მოსაწესრიგებელია. სოფელ ნაღობილევის ბაღის სარემონტო ხარჯი ბიუჯეტში გაწერილია და უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს. თუმცა სოფელ მერიის საბავშვო ბაღი ადმინისტრაციულ შენობაშია განთავსებული და საჭიროებს ცალკე შენობას. სოფელი არ არის გაზიფიცირებული. მოგესწენებათ გაზიფიცირება თვითმმართველობის უმაღლეს კომპეტენციას არ განეკუთვნება, თუმცა მე როგორც მაჟორიტარი აქტიურად ვარ ჩართული ამ საკითხის მოგვარების პროცესში იმ სტრუქტურებთან რომლებსაც ხელწყოფილება პრობლემის გადაჭრა. საჭიროა წყლის სისტემის რეაბილიტაცია, რომელიც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, თუმცა ეტაპობრივად უნდა დაიწყოთ პრობლემის მოგვარება. მოგესწენებათ გასულ წლებში ადგილობრივმა ხელისუფლებამ განხორციელა უმნიშვნელოვანესი სოციალური პროექტი და 90 ოჯახს, როგორც ეკო მიგრანტებს ასევე უსახლკაროებს მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში, ე.წ. ყოფილი „სამხედრო ქალაქის“ ტერიტორიაზე არსებული ხუთსართულიან მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ფართები გადაეცათ. ეს იყო ერთ-ერთი წარმატებული პროექტი და მაგალითი იმისა თუ როგორ ზრუნავს ადგილობრივი თვითმმართველობა მოსახლეობაზე. მსგავსი საქმეებით, სწორად განსაზღვრული პრიორიტეტებითა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით შევძლებთ მუნიციპალიტეტის, მათ შორის ჩემი სოფლის წინსვლას.



# ქალთა კრიმინალური საქართველოები



**„21-ე საუკუნეა, ფეხბურთს თამაშობენ ქალები და რა ბავსა ჩვენი კრიმინალური? უპაცო ოჯახში ქალი აზრებულს კაცისა და ქალის საქმესაც. ჩვენი ანსაზი კი საქართველოში ერთ პრინციპულ კონსერვატივს დაიწუნეს ქალთა კრიმინალისათვის.“**

**ფოლკლორულ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „აღიონი“ 45 წლისაა, მაგრამ ეს შემთხვევით გავიდა ძირითად მიზეზი, რის გამოც ანსამბლს ვესტუმრე - მოკრიმინალურ ქალბატონება. ქალთა სოლო პარტიები ამ ანსამბლის ტრადიციაა.**

**ანსამბლის ხელმძღვანელი ბატონი ბიძინა მგვია:** „აღიონს“ ვეცნობს... - ანსამბლში 16 წევრი ხელმძღვანელის ჩათვლით, ორი მანდილოსანი, დანარჩენი მამაკაცები, მჭიდრებულ გვეს ქორეოგრაფი, ვაჟ ახლელანის, საცეკვაო სიმღერებისათვის. ანსამბლის ასეთი მოწყობის ტრადიცია გიორგი სალუქვაძემ დავიწყებულა, მან ასე შექმნა თავიდან.

ქალების კრიმინალურ ბერს პრობლემს აქვს, რატომაც ფიქრობენ, რომ ქალი არ უნდა ამბობდეს კრიმინალს. ჩვენ შერჩევითი, ქალები გვეს ანსამბლში მოკრიმინალურები, რომლებმაც შეინარჩუნეს ძალიან ბევრი გურული საკრიმინალური სიმღერა და გვაქვს რეპერტუარი.

**ნონა ხეთასია და სოფიკო ღინაძე ფაქტობრივად, ანსამბლში გაიზარდნენ:**

**ნონა ხეთასია, მუსიკოსი, პედაგოგი,** ანსამბლის წევრი: - 17 წლის ვიყავი, როცა ბატონი გიორგი სალუქვაძის შექმნილ ქართული ხალხური სიმღერების აღმდგენი და შემსწავლელი ხუთწლიანი სკოლის მოსწავლე ვიყავი. 1968 წელს დაგამარტო როგორც ფოლკლორისტებს და ლობტარებს.

**ბიძინა მგვია:** - ნონა ჩვენი ოჯახის წევრია. აქ გაიზარდა, აქ დაიწავლა. არის მუხლზე, დედა, ბებია და დედის რეპეტიციებზე მინც. რაინის დასაღიერებელი ისე ქვია, იმას იქნო მამალი აღარ ყოფილა მამა. **ნონა ხეთასია:** - მამლის ამავე ცოტა განვითარებული კონტრაქტში ვცხოვრობ და ვმუშაობ.

**სოფიკო ღინაძე, მუსიკოსი:** - მეც ნონასავით, სკოლიდან მოვედი ანსამბლში. გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა ბატონმა გიორგიმ შექმნა ეს სკოლა, სოფლებს დავეცალა ორ-ორი წევრი წარმოედგინათ. ათი ქალი ვსწავლობდი ამ სკოლაში, აქედან ოთხი დავეცალა ანსამბლში „აღიონი“. მე და ნონა მოგვევლინა ბოლომდე, წავიდა, მაგრამ დავბრუნდი, რამდენჯერ უკანაც შემეწყო ხელი. გვისარია, რომ ისე ერთად ვართ, ძირითადი შემადგებლობა ძველები ვართ, გვაქვს დანაკლისიც შესანიშნავი ადამიანების გურამ ჭვლიტი, დიმიტრი ხომერიკი, ბატონი გიორგი...

**ნონა ხეთასია:** - ბატონი ბიძინას მემუცობით გავაგრძელებთ არსებობა. მან ახალი სული შთაგვებრა. ჩვენს ანსამბლში ქალის კრიმინალური ძველი ტრადიციაა. ადრე ახალგაზრდებს და განსაკუთრებით ბიჭებს, არ ანტრეფისდათ ფოლკლორი. ჩვენ დროს ბიჭები არ მღეროდნენ ფოლკლორს, იყო ერთეულები. ალბათ ბატონი გიორგი ვახდა იძულებული ქალებისათვის ესწავლებინა კრიმინალური. დღეს სასიკეთოდ შეიცვალა სიტუაცია, უნიკალური თაობა გაიზარდა.

**ბიძინა მგვია:** - კრიმინალს მარტო სწავლა არ ყოფილა, ბუნებრივად მონაცემებსაც

უნდა დავეხმაროს. კრიმინალს უნდა სულ სხვა ყელი. სოფიკო და ნინო 1980 წელს მერე მღეროდნენ და თანდათ დაუწყებლად საქრიმინალური ყელი. მომღერალი ქალი ბერია, მაგრამ ყველას კი არ შეუძლია კრიმინალური. ადრე გურიაში ბევრი მოკრიმინალურ მამაკაცი იყო, თანათან იკლო მათმა რაოდენობამ. ზოგში ინტერესმა იკლო. ზოგში ხმის დაბახონი აღარ მოიხებებოდა. გიორგი სალუქვაძის სკოლაში ორმოცდა ორი მამაკაცი ვსწავლობდით და მხოლოდ ორი გამოვიდა კრიმინალური და თორმეტ ქალში ათი კრიმინალური გაიზარდა.

**ნონა და სოფიკო მერე ნაკადის გამოშვება.** მე და კიდევ ანსამბლის რამდენიმე წევრი პირველად დაგამარტოებული ვართ. მერე ნაკადში მეც ვასწავლიდი ამით. გურიაში დღეს სათნოლო საბავარია კრიმინალური. ამიტომ, თუ სადმე გამოჩნდება ქალი კრიმინალური სათუთად უნდა მოეუაროთ და შეენახოთ.

**მასსოფს, ადრე იყო მოკრიმინალური ქალები სიმონიშვილიან, შავიშვილიან, ცნობილი ჟენა შავიშვილი, ჩემი დაც კარგ კრიმინალს ამბობდა ნალობილვის ანსამბლში, რომელიც მე შექმენი და 1977 წელს ჩატარდა გურის ხალხური სიმღერის პირველი ფესტივალი, ყოფილი თავმჯდომარე იყო ანზორ ერქომაძევილი და მისი წერილი ახლაც მაქვს შენახული, სადაც წერს ნალობილვის ანსამბლის უნიკალური შესრულებით მოვიხმინე „ხასანბეგური“ და ჩემი დის კრიმინალური მამინ თუ იყო უნიკალური შესრულება, ახლა რატომ აქვთ აღურგია ქალების კრიმინალურზე? ამასწინათ მოგვისმინა ვაგნო ჭკუასილამ და მანაც აღიარა, რომ „აღიონის“ მოკრიმინალური ქალების ნამღერი შესანიშნავია. ისინი მამაკაცებს შესანიშნავ კონკურენციას და თანადგომასაც უწევენ.**

**გურიაში დასაბოლოებთ 40-ზე მეტი სხვადასხვა კრიმინალური სიმღერა და ამ ქალბატონების დამსახურებით აქედან რამდენიმე ისეთი სიმღერა შეინარჩუნა ჩვენმა ანსამბლმა, რომ არაფერს მღერის. მგონი დასავასებელია, სამშვილანი დედა, ორი შვილიშვილის ბებია ახლავა გზიდან დედის რეპეტიციებზე.**

**სოფიკო ღინაძე:** - მივესალმები მოკრიმინალურ მამაკაცებს, კიდევაც ვასწავლი. მაგრამ ჩვენ მუდამ ვმღეროდით და ძალიან ცოლად ვასარმუხლავ. ვიცი, რომ მამაკაცმა უნდა იმღეროს, ჩვენც სანამ ვიქნებით, ალბათ, ვიმღერებთ.

**ნონა ხეთასია:** - 21-ე საუკუნეა, ფეხბურთს თამაშობენ ქალები და რა გავხდა ჩვენი კრიმინალური? უკაცო ოჯახში ქალი აგრელებს კაცისა და ქალის საქმესაც. ჩვენი ანსამბლი კი საქართველოში ერთ პრესტიჟულ კონკურსზე დაიწუნა უმიკომლოდ ქალთა კრიმინალურებისათვის.

**—კრიმინალური სიმღერაში ლიდერი, სოლო პარტია, ყველა ხმას ვიწყობთ, ლიდერის ხასათი ვაქვით?**

**სოფიკო ღინაძე:** —ყველას არ შეუძლია

ეს, სუფრაზეც უცებ ვმცვეთ ყურადღების ცენტრში, ხმას ვიწყობთ. ამცაც ვარ და რა თქმა უნდა, გვისარია, სასიამოვნოა გაცეხული და ნასიამოვნოები მზერა. სამწუხაროდ, ხშირად სუფრა ისეც დაშლილა არავის უმღერია. არადა ინტერესის შემთხვევაში შეიძლება ამის სწავლა. მეტი პოპულარიზაცია საჭირო.

**ნონა ხეთასია:** ბუნებრივად ვარ „არტგენზე“... უამრავი მყურებელი, ახალგაზრდობის ოჯახი... ოზურგეთში მყურებლით არ ვართ განებერებული. კონცერტებზე არ ვიყავი, გამოვიდვარ სოფლის დღესასწაული თუ არის, კლანდობა, შემოქმედლობა, ლისურლობა...

**ბიძინა მგვია:** - საქართველოში რომ წუნობენ ქალების კრიმინალს, არტგენის დისკები გათვზავნა ინგლისში და უამრავთაგან მხოლოდ ჩვენი ანსამბლი მიწვეეს და 2013 წელს ლონდონში ვიყავით. ფესტივალის ორგანიზატორი არტგენის არ მალავდა: ასეთი პოლიფონია არ მომიხმნიაო. მყურებელიც მოიხილა. ინგლისში ფოლკლორის ფესტივალზე საქართველო ჩვენ „აღიონმა“ წარვადგინეთ პირველად, მანამდე არც იყო მონაწილეებს შორის ჩვენი ქვეყანა. 150 კოლექტივს შორის მესამე ადგილი ავიღეთ. უკრაინელები და ამერიკელები იღებენ ფილმს ანსამბლ „აღიონზე“ ვერ არ დასრულებულა. ასევე აჭარის ტელევიზიის წარმომადგენლები.

**ნონა ხეთასია:** —არტგენმა, ზოგამ მოგვცა ასპარეზი, სიყვარულით მოგიკითხა ზუმბას ამერიკაში. მისი დამსახურება ჩვენი ბოლოდროინდელი წარმატებები, დიდი ყურადღების ქვეშ ვართ მაგათი მხრიდან.

5 წელიწადი თეატრის სხვენში ვმღეროდით, ერთ თეთრს არ ვღებულობდით. მანანა მენაძე იყო კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი, რომელმაც პირველი, თითხმელარანი ხელფასი დავიხმინა. სიყვარულით ვასრულებდით რეპეტიციასზე მოხვლას, სამი პატარა ბავშვი მყავდა, პირველი ჩემი დამხმარე, ვინაც დამარტუნა ანსამბლში, იყო ჩემი მუდამე - გიორგი ფედოროვი. თავადც ახლოსა ხელოვნებასთან, ხატავს. გვეს სამი ქალიშვილი, ერთია ხელოვნებაშიც, ორი შვილიშვილის ბები ვარ ახლა.

**სოფიკო ღინაძე:** —ისე მეც, მუდამე დამარტუნა ანსამბლში. ყოფილა შემთხვევა სადილი გაუკეთებია და დაუხვედრებია კიდევ. ოჯახის თანადგომა მნიშვნელოვანია. მუდამე ავთანდილ კალანდარიშვილი თეატრში მუშაობს. გვეს ქალიშვილი, ნინო სამედიცინო მასაჟის სპეციალისტია. ალბათ ორე ხელოვნებას რომ ვმსახურებთ უფრო ადვილად შეგვხვდით ერთმანეთის თანადგომა. მსმენლისადმი თხოვნა მაქვს - მოვიხმინონ სიყვარულით, ძალიან მიყვარხართ სუვევლა და დიდი მადლობა თუკი ვინმე გვაფასებთ.

**ბიძინა მგვია:** —სიმღერამ, ხელოვნებამ ბერევერ გადარჩინა საქართველო და ამიტომ უნდა გვიყვარდეს ჩვენი ფოლკლორი. აქ რომ ხელფასება მაგით ოჯახს ვერ ვარჩენთ. აქ ვართ სიყვარულისათვის. ერთი დიდი ოჯახი ვართ. რეპეტიციასზე ყოველთვის საამოვნოებით მოვიდვართ, მალე 90 წლის ვახდება ჩვენი წევრი მოსე სვანიძე. თქვენ მაცოცხლებთ, ყველა ოთხშაბათი, რეპეტიციის დღე მენატრებო...

**„აღიონის“ ბევრი აქვთ სათქმელი. ჩვენი მუნიციპალიტეტის მერის ბატონი კოტე შარაშენიძის სამადლობელიც არ გამოჩინათ, ფულადი დასამარტებისათვის 2013 წლის ინგლისის გასტროლის დროს.**

მათი სათქმელი ომხანად გაყვარდება ანსამბლის 45 წლის თებულზე, რომელიც იმედია შედეგება, ისევე ომხანად გაყვარდება, როგორც მათი სიმღერა და საქართველოში ერთადერთი ორი მოკრიმინალური ქალბატონის კრიმინალური გავიტაცებთ მიხვედომოხვეულად ამართებო... და ალბათ, სხვა მოკრიმინალური ქალებიც გაიზრდებიან.

**ლია კილაძე** გადაცემის ვიდეოვერსია იხილეთ ფეისბუქგვერდზე „ცოცხალი - live

## ვულოცავთ



ქალბატონ **ციხლა ჭან-იშვილს**, შესანიშნავ ადამიანს და მოქალაქეს, სოფლის კოლორიტს დაბადებიდან 80 წლისთავს ვულოცავთ.

ვუსურვებთ, დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, კვლავ აქტიურ ცხოვრებას, დასახული მიზნების შესრულებას., **ვალდია, ოლიკო, ციცი, ჭანუკა ჭანიშვილები: ოჯახში და უახლოესი ადამიანები**

## ვულოცავთ

კოლორიტ ოზურგეთელს, **ია სურგულაძეს** დაბადებიდან 81 წლისთავს.

ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

**უახლოესი მემობრები.**



## ვულოცავთ



ვულოცავ დაბა ლაითურის საჯარო სკოლის მოსწავლეებს, დირექტორსა და პედაგოგებს ლაითურელი მოსწავლეების წარმატებას.

გურის რეგიონის სკოლებიდან დაბა ლაითურის საჯარო სკოლის მოსწავლეები გახდნენ ნიკო კეცხოველის პრემიის ლაურეატები და პროექტში პირველი ადგილი დაიკავეს. დაფასდა როგორც ახალგაზრდების, ასევე პედაგოგების თავდაუზოგავი შრომა.

მეამაყება, რომ ჩვენი სკოლა ასეთ წარმატებულ, ნიჭიერ და მოტივირებულ ახალგაზრდებს ხელს უწყობს წინსვლასა და განვითარებაში. თქვენ არა მარტო ჩვენი დაბის, არამედ ქვეყნის ნათელი მომავალი ხართ!

დიდი სიყვარულით, **გიორგი ჩაბანავა** დაბა ლაითურის მაჟორიტარი დეპუტატი

## იკითხეთ გაზეთი „ალიონი“

**საცალო ფასი – 60 თეთრი**

**ხელმოწერა:**

**6 თვით – 14.80 ლარი**

**ერთი წლით – 29.60 ლარი**



# ოკუპაცია კოლოსალური პროვინული ჩაბვრით

**ოკუპაციის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების მიერ გამოცხადებულ კონკურსში „თოვდა და თბილისს ეზურა თაღნი“, ძ. ოკუპაციის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მარიამ ვასაძემ და ელენე გომიზარიამ წარდგინილი ნაშრომისათვის „ოკუპაცია კოლოსალური პროვინული ჩაბვრით“ პირველი ადგილი დაიმსახურეს მთავარჯიშო ალენიშელ ნაშრომს:**



მარიამ ვასაძე და ელენე გომიზარიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა და დაცემის მთელი ისტორია 1918-1921 წლებში დაიწყო. დროის ამ მცირე მონაკვეთში სახელწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე იყო წარმატებები და საბედისწერო შეცდომებიც. ქართული სახელმწიფო იდგა უამრავი სინდელით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის წინაშე, მაგრამ ვითარების სიმწვავე არ ნიშნავდა პერსპექტივის უქონლობას. დამოუკიდებელ არსებობას განსაკუთრებული შიდა საფრთხე არ ემუქრებოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არც ეკონომიკურ ნიადაგზე დაცემულა არც სამხედრო დესტაბილიზაციის შედეგად, იგი მტრული თავდასხმის, უცხო ქვეყნის ძალმომრეობის მსხვერპლი გახდა. მოძალადე და აგრესორი სახელმწიფო საბჭოთა რუსეთი იყო.

1920 წელს საბჭოთა რუსეთმა აზერბაიჯანისა და სომხეთის ოკუპაცია განახორციელა და შექმნა კრემლისადმი დაქვემდებარებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. დღის წესრიგში საქართველოს გასაბჭოების საკითხი დადგა.

1921 წლის 11 თებერვალს ნეიტრალური ზონის კოლონისტებით დასახლებულ სოფლებში დაიწყო

დაიკავეს და მთელ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ამრიგად საქართველომ კვლავ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც მან 1918 წლის 26 მაისს აღიდგინა. იგი კვლავ რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა. ქართველი ხალხის წინაშე კვლავ დადგა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და უცხოელ ბატონობისგან განთავისუფლების ამოცანა.

საბჭოთა ხელისუფლება მიუღებელი იყო ქართველი ინტელიგენციის, სტუდენტების, მასწავლებლების, რიგითი მოქალაქეების დიდი უმრავლესობისათვის. ისინი მართავდნენ საპროტესტო მიტინგებს, აწყობდნენ გაფიცვებს, ავრცელებდნენ ანტისაბჭოთა შინაარსის მოწოდებებს. შეურიგებელი პოზიცია დაიკავა რუსეთის ახალი ოკუპაციის მიმართ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კომუნისტებმა ციხეში გამოკეტეს. ქართველი ერი დაულაღვად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ამ დიდმა და სასტიკმა ძალამ ძალიან ბევრი მამულიშვილის, მათ შორის, ჩვენი ნათესავების, **ევნატე**



ინსპირირებული გამოსვლები. იმავე დღეს საქართველოსკენ დაიძრა XI არმია აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან, VIII, IX და XIII არმიები ჩრდილო კავკასიიდან. საქართველო ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. 22 თებერვალს საქართველოსთან ომში თურქეთიც ჩაება. 25 თებერვალს ქალაქი თბილისი რუსეთის ჯარებმა

არობლიდის, ნოე ბაბილოძისა და იასონ ჭეიშვილის სიცოცხლეებიც შეიწირა.

ნოე ამბაკოს ძე ბაბილოძე დაიბადა 1905 წელს, ოზურგეთის მაზრაში. ჰყავდა ორი და, დედას ერქვა ანტი. სავარაუდოდ დაწვებითი განათლება მიიღო სოფ. მაკვანეთის 4 კლასიან სასწავლებელში შემდგომ კი სწავლა

გაუგრძელებია ოზურგეთის გიმნაზიაში. 1921 წელს ჩააბარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თურქულ ფაკულტეტზე. იქ მოხვედრილა ივ. ჯავახიშვილის თანამოაზრეთა წრეში და გაწევრიანდა თსუ-ს სტუდენტთა ჯგუფში. იგი ამჟამად უარყოფდა კომუნისტურ იდეოლოგიას. მისთვის მიუღებელი იყო დამოუკიდებლობის დაკარგვა და იზიარებდა ივ.ჯავახიშვილის შეხედულებებს. შემდეგ, გაუსამართლებათ, როგორც სამშობლოს მოღალატე და დააკავეს. სასჯელს თავიდან მეტეხის ციხეში იხდიდა. სასამართლო თბილისში გაიმართლა. იმ პერიოდში ცეკას მდივანი, ფილიპე მახარაძე, ნოეს ოჯახის ახლობელი იყო. ნოეს მამა და ბიძა მივიდნენ მასთან თხოვნით რომ დახმარებოდა ახალგაზრდას გაათავისუფლებაში. ფილიპემ უთხრა: თუ ნოე გაეთითებოდა ეროვნულ მოძრაობას და გადავიდოდა კომუნისტების მხარეს, მას გაათავისუფლებდნენ და უფრო მეტიც, მახარაძემ თავისი მოადგილეობაც შესთავაზა. რაზეც, ნოე ბაბილოძემ სასტიკი უარი განაცხადა. იგი შემდგომ გადაიყვანეს რუსეთის ფედერაციის ქ. სუზდალში, განსაკუთრებით საშიშ პოლიტპატიმართა ციხეში, სადაც 1932 წელს დახვრიტეს.

„გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს 1932 წლის 19 იანვრის დადგენილებით, სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 (ავტაცია ან პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამშობის მოწოდებას) და 58-11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის) მუხლების საფუძველზე მიესაჯა 3 წელი თავისუფლების აღკვეთა. 1932 წლის 4 მარტს ეტაპირებულ იქნა 1. სუზდალში.“ ზემოთ ნახსენები ცნობა გამოტანილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან, რომელიც უშუალოდ ნოეს დაკავებას მოწმობს.

ახალგაზრდა პატრიოტს, რომელიც ანტისაბჭოური იდეოლოგიის მომხრე იყო დიდი გავლენა ჰქონდა სიძეზე - დის მეუღლეზე. მორიგი ისტორია სწორედ მასზეა, ეს არის იასონ ბეჟუკის ძე ჭეიშვილი, გურული გლეხი, რომელიც ჩაება ნოეს საქმიანობაში. მაგრამ ისიც, ბაბილოძის მსგავსად, რეპრესირებულ იქნა, როგორც სამშობლოს მოღალატე. სასამართლომ 10 წელი მიუსაჯა, მაგრამ 1937 წელს დახვრიტეს. სამწუხაროდ, ფოტო მასალის მოძიება ვერ მოვახერხეთ.

ნოე ბაბილოძეს სრკ საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების I მუხლის თანახმად, რეაბილიტირებულია. ხოლო იასონი უფრო ადრე 1958-ში.

ნოეს შთამომავლობა არ დაუტოვებია. მას სოფ. მაკვანეთში უნდა ეცხოვრა. იქ, სადაც დღეს მისი დის შვილიშვილი, ხოლო იასონის პირდაპირი შთამომავალი, მისი შვილ-

იშვილი რეზო ჭეიშვილი, ცხოვრობს. სწორედ ბატონი რეზოს დახმარებით მოვიხიეთ ცნობა არქივიდან და დამატებითი ბიოგრაფიული ინფორმაციები.

ევნატე (ტელემაკი) არობელიძის შესახებ თავდაპირველად ოჯახში მოვიპოვე ინფორმაცია. მოპოვებული ცნობები დადასტურა 1992 წელს გამოცემულმა გაზეთმა „განათლება“, რომელიც გვაწვდის ბიოგრაფიულ მონაცემებს. უშიშროების კომიტეტის ოფიციალური ცნობით ევნატე (ტელემაკი) დიმიტრის ძე არობელიძე დაიბადა 1904 წლის 15 მარტს ოზურგეთის რაიონის სოფ. ბოხვაურში. მიიღო საშუალო განათლება. უპარტიო, არალეგალური მუშაობისათვის 1921 წლიდან 1925 წლამდე შვიდეჯერ იყო დაპატიმრებული. 1925 წელს გადავიდა თბილისში, სადაც აგრძელებდა არალეგალურ მუშაობას. 1927 წლის 13 მარტს, საყოველთაო დაპატიმრების დროს დატოვა თბილისი და გაემგზავრა ლენინგრადში, საიდანაც ცდილობდა, რომ გადასულიყო ფინეთში, თუმცა ეს ვერ მოახერხა. 3 წლის განმავლობაში ლენინგრადში ყოფნის შემდეგ ჩავიდა ყირიმში. 1929 წლის ბოლოს დაბრუნდა თავის ოჯახში სოფ. ბოხვაურში. დაპატიმრებამდე, 1933 წლის 10 ოქტომბრამდე, სახლის სხვენში იმალებოდა. საგანგებო სათათბიროს



ნოე ბაბილოძე

რთველი ერის ყველაზე გამოჩენილ და სასახელო შვილებს, ხვრეტდნენ ვაგონებში, ოჯახებში...)

ფილიპე მახარაძეს გაუცია განკარგულება არ დაეხვრეტათ ისინი და დაებრუნებინათ საპატიმროში. ასე გადარჩა 20 წლის ევნატე დახვრეტას...

უშიშროების კომიტეტის არქივში ასევე დაცულია სხვა მასალებიც, რომლებიც ცხადყოფენ ქართველი ხალხისათვის დღევანდლამდე უცნობი სახელოვანი პოლიტიკური მოღვაწე-პატრიოტისა და მწერლის ევნატე არობელიძის ცხოვრებას. (გადარჩენილია მისი რამდენიმე ლექსი და ნაწარმოები)

ასე ეწირებოდნენ ქართველი



ევნატე არობელიძე

1934 წლის 4 მარტის დადგენილებით, ევნატე დიმიტრის ძე არობელიძე გაასამართლეს და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩელიაბინსკის პოლიტიზოლატორში. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით (1936 წლის 27 ოქტომბერი) კი ე.დ. არობელიძეს მიეცა უფლება სამი წლის ვადით ეცხოვრა ქალაქ ტობოლსკში.

1937 წელს დახვრიტეს... ევნატე არობელიძე პირველად 1924 წელს უნდა დაეხვრეტათ. იგი შემთხვევით გადარჩა. თურმე იმ პერიოდში გურიაში ჩამოსულა საქართველოს მთავრობის მაშინდელი თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე. როცა იგი ოზურგეთისაკენ მანქანით მიემგზავრებოდა, გზაში დასახვრეტად გაყვანილი პატიმართა დიდი კოლონა შეხვედრია, რომელშიც ევნატე არობელიძეც იმყოფებოდა. მახარაძეს კითხვაზე თუ სად მიჰყავდათ პატიმრები უპასუხეს- დასახვრეტად. (ეს სწორედ ის პერიოდი როდესაც გაუსამართლებლად ათასობით, ათიათასობით „გეგმიურად“ ხვრეტდნენ ქა-

ვაკაცები სამშობლოს კეთილდღეობას. ისინი მისწრაფოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ქართველი ერის თავისუფლებისაკენ. ყველაზე სასტიკი რეჟიმსაც კი არ შეუშინდნენ და საჯაროდ აფიქსირებდნენ საკუთარ შეხედულებებს, მოსალოდნელი სამიშროება კარგად იცოდნენ, თუმცა შიში არც ერთ მათგანს არ დასტყობია. მათ საკუთარ სიცოცხლეზე წინ დააყენეს სამშობლოს ინტერესები. სასტიკმა დამპყრობელმა მუსრი გაავლო ქართველ ინტელიგენციას, რომელიც ბოლო ანთონურთქამდე ეროვნულ ღირსებას იცავდა. ჩვენ არ შეგვიძლია მივიღეთ საფლავებზე და პატევი მივაგოთ მათ ხსოვნას, მაგრამ შეგვიძლია უკვდავყოთ მათი სახელები. ეს ის წარსულია, რომელიც საამაფო ყველა ჩვენგანისთვის. ეს ის წარსულია, რომელიც ყველასათვის მტკინეულია. საქართველოს მეოცე საუკუნის ინტელიგენცია უნდა დარჩეს მსოფლიო ისტორიას, როგორც ყველაზე მამაცი, გაბედული, და პატრიოტი თაობა.

**მარიამ ვასაძე, ელენე გომიზარიძე.**



სულთანა

თინა მუჟაგანაძის გახსენება

ჩემო უსაყვარლესო თინა ბებო, სამი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. მინდა, სამარადისო სასუფეველში მოვილოცო დაბადების დღე.

კეთილშობილი, ერთგული, პატიოსანი, მზრუნველი, კარგი პედაგოგი - ასე განსაზღვრავს ყველა ვინც გიცნობდა. შენი სიყვარული პროფესიისადმი ბოლომდე შეინარჩუნე, როგორც ფილოლოგი, საწოლიდანაც, ავადმყოფი მითითებებს აძლევდი ჩემს შვილებს.

უმადლესი განათლებით ფილოლოგი, მთიან აჭარაში პრაქტიკაგავლილი დაუბრუნდი მშობლიურ რაიონს. მუშაობა ბავშვთა ბაღში დაიწყო, მერე იყო სხვადასხვა სოფლის სკოლები და ბოლოს, პენსიაში გასვლამდე, ოზურგეთის №1 საშუალო სკოლის პედაგოგი იყავი. უამრავი თაობა აღიზარდა შენს ხელში. მეამაყება, რომ ჩემთვის უცნობი ადამიანები შენზე მიაბობენ, ვისხენებენ ამაღარ პედაგოგს, მზრუნველს,



თბილს, კეთილს, სიყვარულის უზომოდ გამცემს. იმდენად გიყვარდა შენი საქმე, რომ მე, შენს ერთადერთ შვილიშვილს, პროფესიად დაწვებითი განათლების პედაგოგობა ამარჩევინე.

ცხოვრება მძიმე გერგო. ახალგაზრდა ქვრივი, ექვსი წლის ვაჟიშვილთან ერთად, შეუღლევი ცხოვრების გზას. გაზარდე და დაოჯახე ერთადერთი შვილი, რომელიც ცხოვრების უკუღმართობით

უცხოეთში გადაიკარგა. მასზე დარდი საფლავეში ჩაგვკვა. საბედნიეროდ, შენი გარდაცვალების შემდეგ შენი შვილი - მამაჩემი, ცოცხალი აღმოჩნდა.

მინდა, ბევრი დავწერო შენზე, როგორც ჩემს გამზრდელ ბებოზე, მაგრამ წერა მიჭირს. შენ ჩემთვის მხოლოდ ბებია არ იყავი. მიუხედავად ჩემი კარგი ქმარ-შვილისა, შენ ჩემი გამზრდელი, აღმზრდელი, უერთგულესი მეგობარი და საიმედო დასაყრდენი იყავი. შენს ამავს ვერასოდეს გადავიხედი. ჩემში ბევრი კარგი რამ დათესე. არასოდეს გავაკეთებ ისეთ რამეს, რაც შენს ხსოვნას შებღალავს.

კიდევ ერთხელ, სასუფეველში გილოცავ დაბადების დღეს, 24 მარტს და უფალს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს ჩემი საყვარელი თინა ბებოს, თინა მუჟაგანაძის სპეტაკი სული.

მაია ტრაპაიძე.

ლუარა სისარულიძე



მარივით ენო სკოლასა და ოჯახში. წლების მანძილზე მუშაობდა სოფელ მთისპირის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად და დიდი სიყვარული დაუტოვა მთისპირლეს. 7 წელი საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის გურიის რეგიონულ სამმართველოში მუშაობდა მთავარ სპეციალისტად...

წაიდა და დავეტიოვა უსაშველო ტკივილი და მონატრება...

სკოლის კოლექტივი და რაიონის პროფკავშირული ორგანიზაცია თანაგრძობას უცხადებს მიხეილ სისარულიძის ოჯახს, ღმერთმა სასუფეველი დაუწყვიდოს მის ლამაზ სულს.


სამართლმლოს თავისუფალი პროფკავშირის ორგანიზაციის რაიონული ორგანიზაცია; სოფელ ბაღმა მზავსუ სკოლა.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება ბაილეთის საჯარო სკოლის დეკანოზის პედაგოგის გუგუშვილი ჩხაიძის გარდაცვალებას.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაგრძობს კვირიკეთის საჯარო სკოლის პედაგოგ ნაილი მიქაუტაძეს მეუღლის და ანა გოგატაძეს მამის, პანტელეიმონ ბოგატაძის გარდაცვალების გამო.

ნუგზარ, გიორგი ასათიანები, ნინო ნიკოლაიშვილი იუწყებიან ლუარა სისარულიძის გარდაცვალებას და თანაგრძობენ განსვენებული ოჯახს.

სკანვორდი



Grid for a crossword puzzle with various words and clues in Georgian. The grid contains words like 'გიორგი შემოყლებით', 'კარენინა', 'სია', 'მიწის საიჯარო მფლობელობა', 'ეასილ ბარნაველის ფსევდონიმი', 'მარლოგა ბრონტეს „ჟეინ ...“', 'მამაკაცის სახელი', 'კომში', 'მონღოლების დაწესებული ბეგარა', 'ყამირი', 'ლეკორატიული მცენარე', 'ქეასროლია ბიჭი', 'კოლხთა მეფე', 'გიგანტური ხე', 'ალმაცერი', 'ცისფერი მთები ანუ ...', 'თხმელა', 'ძველი ქართული გომი', 'რძის ნაწარმი', 'პურის მოსაგლის ამლები ტრაქტორი', 'ქალის სახელი', 'მოგება ნარდში', 'ძველი წონის ერთეული', 'საერ. ხელშეკრულების შედგენის წესი', 'რძის ნაწარმი', 'საფესტივალო ქალაქი', 'ღიახ', 'ცურვის სტილი'.


№ 11-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - თეოდორ დრაიზერი; ნებიერი - აზიზი; ისტორიული მხარე საბერძნეთში - მაკედონია; კოლხეთის მეფე - აიტი; ქალის თავსაბურავი - ლეჩაქი; კომში - ბია; მხვიარა მცენარე - ლიანა; ეჭვი - ღაზო; სამკურნალო მცენარე - ნიორი; მღრნელი - თრია; მავთული - სინა; მამის სახლიდან მოყოლილი ქალის ქონება - სათაუნო; მამაკაცის სახელი - რეზო; მავნიტი - ანდამატი; ქალ-ვაჟის ერთად წოლის ჩვეულება - სწორფრობა; წყნარი, გუგუნა ფრინველი - გვრიტი; ბუჩქნარი - შამბი; გარეული ფრინველი - გნოლი; ქალის სახელი - ლია; თევზის სახეობა - ქარიყლაბაია; დეკორატიული დიდყვავილოვანი მცენარე - მაგნოლია; მეფის თანმხლები პირები - ამალა; „პლიტკა“ შოკოლადი - კორონა; მდინარე საქართველოში - ზრამი; ერთი დღის გზა - ეჯი; მესამე პირის ნაცვალსახელი - ის; ჩანთოსანი ცხოველი - კენგურუ; ნაკადული - რუ; ერთგვარი სასუქი - დოლომიტი; შანდლი - ფისოსი; კეთილშობილი მცენარე - დაფნა; პატარა საწნახელი - ორე.



კვილი ოზურგეთის ქრონიკები

ჯუმათის სკოლა – პირველი სკოლა გურიაში



პირველი სკოლის გახსნა გურიაში ჯუმათის მონასტრთან არის დაკავშირებული. ადრეა, საჭიროდ მიგვაჩნია გვეცნოთ ჯუმათის ისტორიას. ჯუმათი ერთ-ერთი გამოჩენილი სოფელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, რომლის ისტორია მორეულ წარსულში იწყება ჯუმათის სიძველესთან ერთად, საინტერესოა სახელწოდება ჯუმათის წარმოშობა, რომლის შესახებ მრავალი ვერსია არსებობს. პროფ. თეო სისარულიძის აზრით: - შენ ჯუმა (ძმობლი) მოგაფერი ხარ ჩემ!

ძმობლი ხარ ჩემი  
„ჯუმათი - ზანური ენის ჭანური (ლაზური) კილოდან მომდინარე ტერმინია და ქართულად სამოს ნიშნავს, „სამო“ ბასილი ზარზმელის თხზულებაშიც (ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა) იხსენიება. სამცხის ერთ-ერთი უკანასკნელი „სამო“ მღვდარობდა „შესაკრებლის ორთა წყალთასა“ (ძინე და ქებალანი) გურიაშიც არ ყოფილა ჯუმათები მცირედ, მაგრამ საეკლესიო სახელების მხრივ ეს ერთი შეხედვით (რკინიგზის სადგურის სახელი) აქ მხედველობაში არ მიიღება, რადგან პირველი მქანბიერი გადაღების ნაყოფი და არც შემხვევით. „ჯუმათი გვაროვნული ხანის გადმონათობა თავისი განვითარების უკანასკნელ საფეხურზე (ე. წ. სამხედრო დემოკრატია) დასავლეთ საქართველოს ბარში (კერძოდ, მერხინდელ გურიაში) ეს საზოგადოება ძეწ. III- I ათასწლეულთა მიჯნაზე უნდა შედგარიყო. ადრეა ამ ტერიტორიის მკვიდრებიც ეს ზანური (ზოგიერთი „კოლხურს“ აზვობინებს) მოდემის ტომი ივლინისებოდა. ზანური ენის ჭანურ კილოზე გურიაში ან. წ. VIII ს-მდე მტკიცედდნენ, შემდეგ კი ქართული მკვიდრება. „ჯუმათის რღვევა“ ადრეკლასობრივი ხანიდან იწყება და დიდხანს გრძელდება. ადრევეკლასობრივი ურთიერთობის დასასრულს მისი ძლიერება ბარში ხერხემაღლადმტრეულია. ხანგრძლივ და მწვავე კლასობრივ ბრძოლას „ქესამოთა“ ნაწილი ემსხვერპლა. ნაწილი კი „ღონე სისუსტისა მისისა“ იძულებული იყო შეეუბოდა მეფისა და აზნაურის მემბოლურ პრეტენზიებს და ამ გზით გაუნაგრძობინა არსებობა ამ მხრივ საინტერესო სურათია გურიაში, სადაც სართო სარგებლობა ტყესა, სათიბებსა და სხვა ადრინდელ სათემო ობიექტებზე XIX ს-ის მეორე ნახევრამდე შემორჩა“ (თური სისარულიძე „საიდან წარმოიშვა სახელი ჯუმათი“).

ჯუმათის თემის საკრებულოს სოფლებია: იანეთი, ბოვილი, ძირჯუმათი, ჯუმათი. მოღწეულია შუა საუკუნეების მამთა სამონასტრო ანსამბლი (ტაძარი, სამრევლო) ტაძარი მოხატულია (მხატვრობა XVI-XVIII საუკუნისა).

ჯუმათის კათოლიკური ტაძარი აგებული ყოფილა მთავარანგელოზების მიხეილის და გაბრიელის სახელზე. ჯუმათის ტაძარი ადრე მცირე და ცოცხალი მონასტერი ყოფილა, ხოლო მე-15 საუკუნიდან გურიის სამთავროდ გამოყოფის შემდეგ გურიელ ეპისკოპოსების საკლდომი კათედრალი გამხდარა. წერილობით წყა

რობში ჯუმათელ ეპისკოპოსთა შესახებ ცნობები მე-14 საუკუნიდან არის დაცული (დიმიტრი ბაქრაძე). მე-18 საუკუნეში ჯუმათის კათედრალი ადგილი ადგილს უთმობს შემოქმედს, ხოლო მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან ტაძარი ისევ კათედრალია. სადაც საეპისკოპოსო კათედრალი სკოლას. ძველ ფრესკებთან ერთად, ტაძარში არაერთი მატერიალური კულტურის ღირსშესანიშნავი ნიმუში შემოგვინახა. მათ შორის ჯუმათის წმინდა გიორგის ხატი. თარიღდება მე-11 საუკუნის დასაწყისით. ტაძრისათვის ეს ხატი შეუწირია ვარდან ვარდანისძის ერთგვან ერისთავს, ხატი ოქროსი იყო. ამ ხატის მცირე ფრაგმენტი ინახება ერმიტაჟში. ამ ძეგლზე შემოგვინახა იმდროინდელი მემორის ჩაქმბულობის სახე და ქართული დამწერლობის საუკეთესო კალიგრაფიული ნიმუში. ჯუმათის საეპისკოპოსო XV საუკუნეში დაარსდა და მოიცავდა მდინარე რიონსა და სოფლს შორის მდებარე ტერიტორიას. ჯუმათელის რეზიდენცია იყო ჯუმათის მთავარანგელოზის ეკლესია. ჯუმათის საეპისკოპო გაუქმდა 1827 წელს. 1844 წელს დაარსდა გურიის ეპარქია. 1855 წელს გურიის ეპარქია სამცხრელოსთან გაერთიანდა.

ჯუმათის მონასტერი საეკლესიო საგანმანათლებლო ცხოვრების კერა იყო. მონასტრის მამასახლისს, ნიკოლოზ (XV-XVI სს) უმოზაურა კლარჯეთში და იქედან სუთი ძველი ხელნაწერი გადმოუტანია: სახარება (დღეს ადიშის სახარების სახელით ცნობილი), მრავალთავი, ხელი-კანონი, მამათა წიგნი და კითხვა-მიგება. ამთგან სახარება, ხელი-კანონი და მამათა წიგნი მატერიალის მონასტრიდან წამოვიდა. ჯუმათის მონასტერში გადაუწერა ივლიანი, რომელიც ჩვენამდე მოღწეული არ არის. 1827 წელს მიტყვევდა ნიკოლოზი, რის შემდეგაც მონასტრის ძმობამ კლება დაიწყო. 1844 წელს, ექვარხოსის გადაწყვეტილებით ჯუმათის საეპისკოპოსო დასურეს. ამვე წელს შეიქმნა გურიის ეპარქია. ექვარხოსის პირველი აპრილის ბრძანებით გურიის საეპისკოპოსო კათედრად დადგინდა იქნა ჯუმათის მონასტერი. გურიის მწვემსთავარი 1886 წლამდე იჯდა ჯუმათში. კომუნისტური რეჟიმის დროს ჯუმათის მონასტერში მხოლოდ ერთი ბერი-მღვდელმონაზონი ითანე (გოგუა) ცხოვრობდა. იგი თურმე ბევრ შეუარაცოფას იტანდა მკუხედავად ამისა, დადიოდა და ჩუმიდ ნათლავდა ხალხს. დეგნილი ბერი 1955 წელს გარდაიცვალა. მონასტრის ტერიტორიაზე რამდენიმე წელი სამხედრო ნაწილი ყოფილა განთავსებული. ქვეყნიდან გასროლით სამხედროებს დაუნგრევით მონასტრის სამრევლო. XX საუკუნის დასაწყისში მონასტერი არაერთხელ გაუძარცვავთ. დაიკარგა უამრავი სიწმინდე. 924 წლისათვის ჯუმათის მონასტრის სიძველეთგან თითქმის არაფერი დარჩა.

ახლა უშუალოდ განათლების ისტორიას გვეცნოთ: გურიაში ეკლესია მონასტრებთან და მთავრის კარზე დროდადრო არსებობდა მცირე სკოლები, სადაც ერთეულებს თუ შეგებული განათლების

მიღება. და ეს სკოლებიც აებდობის კამს იზურებოდა XIX საუკუნის დადგეს გურიის უკანასკნელი მთავრის მამა V გურიელის (1789-1826) კარზე არსებობდა სკოლა, მთავრისა და მასთან დახლოებულ პირთა შვილებისათვის.

სწავლა-განათლების საქმეში დიდ როლს ასრულებდნენ წერა-კითხვის მცოდნე მღვდლები. მათ ოჯახებში ბევრი ახალგაზრდა სწავლობდა წერა-კითხვას, ხეცურს, გალობასა და სხვა საეკლესიო წესებს, ამის მთავრე წლების მანძილზე ეხმარებოდნენ საოჯახო საქმეებში და ეკლესიებში ღვთისმსახურების დროს.

სკოლები არსებობდა ჯუმათსა და შემოქმედის მონასტრებთან. ამ უკანასკნელს „ღუმბაძე ბერის“ სკოლას ეხსენებ. მცირე სკოლები არსებობდა ვიხეთის ღვთისა მონასტერში. ითანე ნათლისმცემლის საფანეში (უდაბნო) ამ სკოლებს გარკვეული სარგებლობა მოჰქონდა განათლებისათვის, თუმცა იგი მოსახლეობის მცირე ნაწილს ემსახურებოდა. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებდა სამხარო სკოლები და ინდოვრდიალური სამხარო აღზრდის პრაქტიკა.

სწავლას მოწვევებული გურულები ელოდებოდნენ სკოლის დაარსებისათვის ხელსაყრელ პირობებს. 1833 წელს შემოქმედის არქიმანდიტ არსენს თხოვნით მოემართავს საქართველოს ექვარხოსისათვის სასწავლებლის გახსნის შესახებ, მოუხედავად იმისა, რომ მრავალი დაბრკოლება არსებობდა: არ იყო საკმარისი თანხა, ბატონები წინააღმდეგი იყვნენ ბავშვები სასწავლებლად გაეზავნათ და მათე გურიის სამღვდლოთა და საზოგადოების მოწინავე ნაწილი ყოველ ღონეს ხმარობდნენ ხელიდან არ გაეშვათ სასწავლებლის გახსნის ყველაზე ხელსაყრელი მომენტი. საბოლოოდ გადაწყდა, რომ სასწავლებელი გახსნილიყო 1841 წელს, მაგრამ ამ დროს გურიაში აჯანყება დაიწყო და ეს საკითხი გადაიდო. მოგვიანებით 1846 წლის 15 აპრილს ჯუმათის მონასტერიდან გაიხსნა გურიის სასულიერო სასწავლებელი, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ივანე ბუშქმაძე. იმვე წლის 23 აპრილს ივანე ბუშქმაძე სემინარიის გამგეობისათვის წარუდგინდა მოხსენებაში წერდა: „სემინარიის გამგეობის 1846 წლის 15 მარტის 168 განკარგულების შესასრულებლად პატივი მიყენა გურუნი გამგეობას, რომ სამრევლო სასწავლებელი, რომლის გახსნაც ნავარაუდები იყო გურიაში, გაიხსნა აწ. 14 აპრილს ჯუმათის მთავარანგელოზის მონასტრთან, ხოლო მეტადინობა დაიწყო იმვე თვის 15 რიცხვს“. 1846 წლის დადგეს სასწავლებელთან დამატებით გაიხსნა კიდევ ერთი კლასი. ამ შემდგენლობით ფუნქციონირებდა სასწავლებელი მრავალი წლის მანძილზე ისწავლებოდა: პირველ კლასში-ქართული ენა (წერა-კითხვა), რუსული ენა (წერა-კითხვა), საუბრები (ქართულ-რუსულ ენაზე), მეორე კლასში: საღვთო სჯული, ქართული ენა (გრამატიკა), რუსული ენა (გრამატიკა), არითმეტიკა.

სასწავლებლის შენახვის ხარჯი სამღვდლოების კისრზე იყო. ვახეთი, დროება“ ჯუმათში შექმნილი მღვდლმრეობის შესახებ წერდა: „რამდენიმე წელიწადი გადის მას აქეთ, რაც ჯუმათის სკოლა დაიხურა, საზოგადოების ზრუნვა ფუჭად ჩაიარა, მოლოდინი გაცრუვდა, ვერ იშოვეს რიგანი მწარმოებული სკოლისა მასწავლებლები, რომლებიც ამ სკოლას ჰყავდათ, სრულად არ ფიქრობდნენ, რომ ეს იმათი მოვალეობაა. დასაწყისში შევირდების რაოდენობა სკოლაში ბევრი იყო, რადგანაც მშობლები დიდი სიამოვნებით და აღტაცებით აძლევდნენ შვილებს სკოლაში. ასწავლებლობის კლასების დამატებაზე არავინ ზრუნავდა დიდ სიძნელეებს ქნდა სკოლის შენახვა ჯუმათის მთავრინდელ კუთხეში და აუცილებელი იყო სასწავლებლის ოზურგეთში გადატანა.

მაგრამ სასწავლებლის ოზურგეთში გადატანას პირობების გაუზოვბობება არ მოელოდა, ამ დროს მიმდინარებდა ვირიის ომი. ოზურგეთი საომარი მოქმედების ასპარეზს წარმოადგენდა და მოსწავლეებიც დროებით დაითხოვეს. 1870 წელს სასწავლებელთან გაიხსნა მესამე კლასი, 1878 წელს - მეოთხე.

1876 წლიდან 1917 წლამდე სასწავლებელი ფუნქციონირებდა ოთხი კლასით და მას ეწოდებოდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ სასწავლებელს სახელი შეუცვალეს და ოზურგეთის საეპარქიოს „ვაჟთა პროგინაზია“ უწოდეს, ამვე დროიდან სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. 1919 წლიდან შემოუერთდა ვაჟთა გინაზია და ეწოდა ოზურგეთის ვაჟთა პროგინაზია.

1921-1922 წლიდან ეწოდა ჰუმანიტარული ტექნიკუმი, სწავლება ისევ ოთხ-ხუთიანი იყო. პირველ წელს ისწავლებოდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნები, დანარჩენ ორ წელს სპეციალური.

1923-1924 წელს ჰუმანიტარული ტექნიკუმის ბაზაზე შეიქმნა 9-წლიანი შრომის სკოლა, შემდეგ პოლიტექნიკური ათწლედი. 1930 წელს სკოლას მიენიჭა ენატი ნინოშვილის სახელი. 1945-1955 სასწავლო წლიდან შემოღებულ იქნა ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება და სკოლას ეწოდა მასხარაძის პირველი საშუალო სკოლა. ადრეა დღევანდელი I-ლი საჯარო სკოლა წარმოადგენს სასულიერო სამრევლო სასწავლებლის სამართალმემკვიდრეს. დასავლეთ საქართველოში სახალხო განათლების განვითარებაში გარკვეული ღვაწლი მოუძღვის იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს. გაბრიელის ქველმოქმედება მშობლიურ გურიასაც გადაწვდა. 1874 წელს თავის სოფელ ბაგში დაარსა სკოლა, რომლის პირველი მასწავლებელი იყო ღვაწისილი პედაგოგი ვიგო შარაძე. უფრო ადრე 1850 წელს ოზურგეთში გაიხსნა სამაზრო სასწავლებელი, სადაც სწავლობდა საქართველოს მეტურჯლე-უხუცესი, წმინდანად შერაცხილი ექვთიმე თაყაიშვილი. ნიკო მარი ვანი გურიელი და ბევრი სხვა.

1882 წელს ოზურგეთში გაიხსნა საქალაქო სასწავლებელი. ამის შესახებ ვახეთი „დროება“ (259, 1882 წელი) წერდა: ყოველად სამღვდლო ეპისკოპოსი გურიისა აღექმნა რეგულაციები, რომ ამ დეკრეტის 6-ს ნაშეადგეს პირველ საათზე პარაკლისის შემდგომ საქართველოს ექვარხოსის ნებართვით გაუხსნიათ ქალაქ ოზურგეთში საქალაქო ეპარხი-ალური ორ კლასიანი სასწავლებელი. სასწავლებელი ამ თავით ყოველად სამღვდლო ეპისკოპოსის აღექმნა რეგულაციებით და ხარვეთი გაიხსნა და იმდღა, რომ შემდგომაც და იმის შემწეობა და აგრეთვე მსოფლიოდ გურიის სამღვდლოებისაც არ მოაკლდება ამ კეთილ საქმეს. აღსანიშნავია ამ მხრივ თავად გრიგოლ გურიელის ქველმოქმედება. ამის შესახებ ვახეთი „დროება“ (320, 1884 წ.) გვაწვდის: „პატივცემულმა თავად გრიგოლ გურიელმა პირველად გვიჩვენა მგალითი ამ გვარის კეთილის საქმისა მამდვილად ვაგოვთ, რომ 620 მანეთი მანეთამდე შემოუწირავს. სასწავლებლისათვის და რამდენიმე 100 მანეთის შეწირვას კიდევ აპირებო, დემრთმა ინებოს, ბევრი სხვაც მიჰყოლიეს ამ მგალითის და შეძლებისდაგვარად აღმოჩნით თანაგრძობა განათლებისათვის.

გრიგოლ გურიელი სისტემატურად ეხმარებოდა მზრის სამოქალაქო სკოლებს, ამ მიზნით დაქირავებული ჰყავდა მასწავლებლები მას დიდი ღვაწლი მოუძღვის სასულიერო სასწავლებლის დარსებაში. სასწავლებელს შენობა არ ჰქონდა ეკლესიის მესვეურებმა მიმართეს გურიისა და აჭარა-ქობულეთის მოწყალე მამად წოდებულ გრიგოლ გურიელს, რათა

მიეყდა მას სახლი თავისი უძრავი ქონებით. მიუღი ქონება 2800 მანეთად შეფასდა. ეკლესიას კი მხოლოდ 1400 მანეთის გადახდა შეეძლო. მამნი გრიგოლმ განუცხადა, რომ სასწავლებელს იგი სწირავდა 15000 მანეთს იმ თანხიდან, რაც მას უნდა მისცემოდა სახლისა და კარმდამოს საფასურად. მიუღმა სასულიერო წოდებამ და მიუღმა გურამ უგულითადედი მადლობა გადაუხადეს ამ შეწირულობისათვის „გრიგოლ ქველს“ წერდა „დროება“. ამვე სასწავლებელს შესწირა უცოლმშვილდ დარჩენილმა გრიგოლ გურიელმა მიუღი თავისი ქონება, მდიდარი ბიბლიოთეკა, მათ შორის მრავალი იშვიათი წიგნი.

სკოლები იხსნებოდა თითქმის ყველა სოფელში. საინტერესოა ვახეთი „ეკლემი“ (1896 წელი, 22) გამოქვეყნებული კოპესიოდენცია, რომელიც ეხება სოფელ ქაქეთის სკოლის გახსნას. „სოფელი ლიხაური შედგება ოთხი პატარა სოფლისაგან, ამათში ერთს ქაქეთი ჰქვია. ეს სოფელი სხვებთან შედარებით უფრო მთავრინდელია და განმეხებულია მდინარე ჩოლოქის ნაპირის ჩოლოქის გაღმ დასავლეთით გურული მამადიანები ცხოვრობენ, გამომდამ კი ადმოსავლეთით გურული მართლმადიდებლები. ეს სოფელი მოკლებული იყო სკოლას. ამ მთავრინდელ ადგილას, სადაც სკოლა-სკოლა რა ხილი იყო არ იცოდნენ და ხალხი თითქმის ვერანათ იყო. ბატონმა რავედ კონტრიძემ გახსნა სკოლა და თვითონ უსაყიდლოდ ასწავლის. ბატონი კონტრიძე პირველად კერძო სახლში ასწავლიდა, ბოლოდ სარწმუნოების ემსწავლებს, მაგრამ შემდეგ რა ი გამრავლდა მოსწავლეთა რიცხვი, სოფელმა საჭიროთ დანახა და ააშენა საკუთარი სკოლა, ამის შემდეგ ბატონი კონტრიძე კიდევ უფრო შრომობს სამოსწავლო ასპარეზზე. შესანიშნავია, ის თუ როგორ შეიცვალა აქაურების აზრი სკოლის სარგებლობის შესახებ ამ ცოტა ხნის განმავლობაში, ოთხი წლის წინათ, როცა კონტრიძე უხსნიდა ხალხს სწავლის სარგებლობას, ორმა მამადიანმა შემოთვალა, რომ თუ ხუთას მანეთს მოქმეობ, ორი შეგირდი, ესეც შენი ხათრით იქნებ გამოგეზავნითო, ხოლო დღეს ამვე კონტრიძის წყალობით 50 ემსწავილი სწავლობს ქაქეთის სკოლაში უფასოდ მისივე ხელმძღვანელობით“.

თელი სახოკიას ცნობით, 1897 წლისათვის მარტო ოზურგეთში არსებობდა ოთხი სასწავლებელი: სასულიერო ოთხ-ხელასიანი, საქალაქო სასწავლებელი, ქალთა სკოლა და სამრევლო სასწავლებელი.

არსებობს მოსაზრება, რომ ოზურგეთში პირველი სკოლის დაარსებას საფუძველი ჩაეყარა მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, კათოლიკე მისიონერებმა, რომლებიც მალაქა გურიელის დახმარებით ჩამოედნენ გურიაში და გურიელის სახლის მახლობლად სერის უბანში (ახლანდელი პირველი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია) დაარსეს მისიონი და იქვე პატრმა ანტონი ვარდინამ ააშენა პირველი სასწავლებელი და შეადგინა პირველი ქართული გრამატიკა. ამ მოსაზრებას ამტკიცებს კასტელის აღბოშში დაცული ჩანახატი. თუ ათვლას ამ თარიღიდან (1634 წელი) დავიწყებთ მამნი პირველი სასწავლებელი ოზურგეთში გახსნილა 384 წლის წინათ.

ოფიციალური დოკუმენტებით კი, ჯუმათის სკოლა ითვლება პირველ სასწავლებლად ოზურგეთის მზრანში. ამის შესახებ ვახეთი „ეფერია“ (1899 წ. 60) იტყობინებოდა: „არ შემძლიან ორიოდე სიტყვა არ ვთქვით ჯუმათის სამონასტრო სკოლის შესახებ, ვინ არ იცის, რომ ოზურგეთის მზრანში ყველაზე უწინ სოფელ ჯუმათში დაარსდა სასულიერო სკოლა და ხალხიც სისარულით მიეგება ამ ბუნდირებას.“

განაანა ლომამი,

ოზურგეთის ისტორიული მუზეუ-მის ფონდების მცველი.



# ბაილეთს დიდხანს არ დაავიწყდება ეს დიდებული დღესასწაული



მარტი, თავისი დიდებული დღესასწაულებით, ყველგან ლამაზია, მაგრამ განსაკუთრებული პეწი ჰქონია მას სოფელ ბაილეთში, სადაც ქალთა დღესასწაულებს მანამდე ზეიმობენ, სანამ ეს მშვენიერი და ბოლოქარი თვე თვალს არ ჩაგვიპაჭუნებს. რაც შეეხება ამ სოფლის საჯარო სკოლაში 19 მარტს გამართულ ღონისძიებას, იგი აშკარად გასცდა სასკოლო ფორმატს და მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მშობელთა თუ სტუმართა ჩართულობით, ნამდვილ სოფლის სახალხო ზეიმად იქცა.

ერთ საგანთო წერილში იმის თა-  
ემოყრა, რაც იმ დღეს სკოლის პატარა დარბაზის მომცრო სცენაზე დატრიალდა, ალბათ შეუძლებელია, მაგრამ არც უემოციოდ გატარება ივარგებს. ასე ერთ მძივად ასხმული ღონისძიება, რომლის ქრონომეტრაჟი ორ საათს გასცდა, კარგა ხანია, არ მინახავს. დარბაზი, რა თქმა უნდა, მთელ ბაილეთს ვერ დაიტევდა, მაგრამ ამ დარბაზში მთელი ბაილეთის სუნთქვა იგრძნობოდა, თანაც ისე ძალუმად, ისე დინამიკურად, რომ ყოველ ამოსუნთქვას ქალის, დედის სიყვარულის საამო სურნელი მოყვებოდა. ბაილეთმა ამ დღეს ზოგადად ქალს

ფინანსები დაუფინა.  
გოცნებული დავრჩი წამყვანებით, მათი კარგი ქართული, გამართული მეტყველებით, სასცენო ხელოვნების ნიუანსებით, დარბაზთან, მაყურებელთან კონტაქტით და ნომრებში ჩართულობით.  
ვიცილი, სკოლის დირექტორის ქალბატონი **მზევინარ ხაფიაშვილის** ძლიერი მენეჯერული თვისებების შესახებ, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი თუ ის ვოკალში, ქორეოგრაფიასა და მთლიანად რეჟისურაშიც ასეთი ლიდერი იქნებოდა.

უბაღლო სასცენო კულტურა გამოავლინეს პედაგოგებმა და მშობლებმა, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ დღეს შეუდარებელი იყვნენ ღონისძიებაში მონაწილე ბაილეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ სოფელს ნიჭიერი და ღირსეული თაობა ეზრდება.

პროგრამაში ზომიერად იყო შერწყმული ეროვნული და უცხოური სიმღერები თუ ცეკვები. შესრულების მანერით თითოეულში მაინც ქართული ტემპერამენტი როკავდა.

კირკიტა არ დამიწყია, მაგრამ, მართალი ვითხრათ, ღონისძიებაში სუსტი წერტილი ვერ შევნიშნე, სამაგიეროდ, რამდენიმე ნომერი იმდენად შთაბე-

ჭდავი იყო, რომ ვშიშობ რაიმე არ დავაკლო:  
პირველი – მეფე თამარისა და სულმნათი რუსთაველის სახით, სცენაზე ქართული რენესანსის ხანის გაცოცხლებამ, „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების რეჟისურებმა ნამდვილი ფურორი მოახდინა;  
მეორე – დღევანდელი ბაილეთის (არა მხოლოდ) სოციალური ყოფა რეალურად დაგვანახა ღონისძიების მიმდინარეობისას ინტერნეტსივრცეში საზღვარგარეთ მყოფი ორი ბაილეთელი

მშობლის პირდაპირმა ჩართვამ. ყოველივე ეს იმდენად ემოციური დარჩა, რომ ვერც ბავშვებმა, ვერც მშობლებმა, ვერც მასწავლებლებმა და ვერც დარბაზში მსხდომებმა ცრემლი ვერ შეიკავეს, თუმცა, ეს არ იყო პესიმისტური ცრემლი, რომელსაც მალე ღიმილმა და პაეროვანმა კონცხმა სძლია...  
ბაილეთს დიდხანს არ დაავიწყდება ეს დიდებული დღესასწაული.

თემურ მარშანიშვილი



# გურიის საგაზაფხულო რეგიონული ჩემპიონატი ნარდში ქალთა შორის

თემურ მარშანიშვილი



18 მარტს, გურიის ნარდის ფედერაციის ახალ ოფისში, ოზურგეთის რკინიგზის ვაგზლის პირველ სართულზე ჩატარდა გურიის მეოთხე საგაზაფხულო რეგიონული ჩემპიონატი ნარდში ქალთა შორის, რომელშიც გურიის სამივე მუნიციპალიტეტიდან 64-მა ქალბატონმა მიიღო მონაწილეობა.  
ჩემპიონატის ჩატარება ფინანსურად უზრუნველყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ.  
საკმაოდ დრამატული ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდა საუკეთესო ოთხეული, რომელთაგან სამი ოზურგეთელი გახლდათ და ერთი ლანჩხუთელი. პირველ ნახევარფინალურ წყვილში ერთმანეთს

დაუპირისპირდნენ ნატალია მიხაილოვა და ლანჩხუთელი ნატალია აბრამიძე, მეორეში - თიკო გოგოლაძე და ლამარა ბარამიძე. ფინალისტები აბრამიძე და გოგოლაძე გახდნენ. შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა ნატალია მიხაილოვამ მესამე ადგილიც დათმო უნაკლოდ მოასპარეზე ლამარა ბარამიძესთან.  
ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ფინალმა ნატალია აბრამიძესა და თიკო გოგოლაძეს შორის, საწყის ეტაპზე სამი ქულით დაწინაურდა გოგოლაძე, დარჩენი პარტიებში აბრამიძემ ორი ქულის აღება შეძლო და მინიმალური სხვაობით დათმო მატჩი.  
მას ასე, გურიას ნარდში ახალი

ჩემპიონი ჰყავს, ეს არის ოზურგეთში მოქმედი შპს „ცაცხვის“ თანამშრომელი თიკო გოგოლაძე, რომელსაც გადაეცა თასი და ჩემპიონისათვის განკუთვნილი ჯილდო. მკითხველს ახსოვს, ალბათ, რომ წინა ჩემპიონი ლანჩხუთიდან იყო. დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე.  
ჩემპიონატის მსაჯობას კარგად გაართვეს თავი ხალამპრე დოლიძემ და ზურაბ ანდლულაძემ  
ჩემპიონატის პრიზიორებს იშვიათი ჩანაწერების დისკები უსახსოვრა ლოტბარმა ტრისტან სისარულიძემ.  
ბოლო წლებში გურიის ნარდის ფედერაციამ (პრეზიდენტი - თამაზ სალუქვაძე, ვიცე-პრეზიდენტი - ოლეგ გობრონიძე, ოფის-მენეჯერი - ტარიელ ჭყონია) მართლაც რომ შეგვაჩვია სამაგიდო სპორტის ერთ-ერთ პოპულარულ სახეობაში ნარდში ესოდენ მაღალი დონის ტურნირებს.  
როგორც თამაზ სალუქვაძემ ვეთხრა, მალე გურიის ვაჟთა დია ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც ქალბატონებიც მიიღებენ მონაწილეობას. არ არის გამორიცხული, აქ ავტომანქანაც გათამაშდეს.



## 7 დღის ამინდის პროგნოზი

<b>ღრუბელი</b> +10+18 26 მარტი ორშაბათი	<b>მზე, ღრუბელი</b> +11+21 27 მარტი სამშაბათი	<b>მზე, ღრუბელი</b> +10+19 28 მარტი ოთხშაბათი	<b>ღრუბელი</b> +7+13 29 მარტი ხუთშაბათი	<b>მცირე წვიმა</b> +5+14 30 მარტი პარასკევი	<b>მცირე წვიმა</b> +2+8 31 მარტი შაბათი	<b>ღრუბელი</b> +9+15 1 აპრილი კვირა
--	--	--	--	--	--	--